

# გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

12 იანვარი 2026

რატი წიკლაური

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

ალექსანდრე გველესიანი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

ნიკა კვაშალი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის  
კვლევა

# მოკლე შეჯამება


## მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა

|                         | უკუგება (USD, %) |       |
|-------------------------|------------------|-------|
| MSCI აქციების ინდექსები | კვირა            | YTD   |
| აშშ                     | 1.55             | 19.35 |
| ევროპა                  | 2.25             | 18.66 |
| აზია (გარდა იაპონიისა)  | 1.18             | 32.92 |
| იაპონია                 | 3.11             | 28.82 |
| განვითარებადი ბაზრები   | 1.62             | 37.39 |
| მსოფლიო                 | 1.49             | 22.64 |


## ბაზრის პულსი

აშშ-ის საფონდო ბირჟებზე მიმდინარე კვირას ზრდა დაფიქსირდა. თავდაცვის სექტორის აქციები მას შემდეგ გაიზარდა, რაც პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2027 წლისთვის აშშ-ის სამხედრო ხარჯების დაგეგმილი ზრდა დააანონსა. ამავდროულად, ნახევარგამტარების საწარმოო დანადგარების ინდუსტრიაში დაწყებული ბუმი მთელ მსოფლიოს მოედო, რამაც აშშ-ის, ევროპისა და აზიის ბაზრებზე ზრდა განაპირობა. მოგებით დახურეს კვირა მეხსიერების ჩიპების მწარმოებლებმა, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე სამხრეთ კორეაში.

## აქტივების კლასების უკუგება (კვირა)




## აშშ-ის სექტორული უკუგება (კვირა)




## კვირის მიგნება

როგორც ჩანს, „დიდებული შვიდეულის“ ტოტალური დომინაციის ეპოქა დასასრულს უახლოვდება. მართალია, ტექნიკურად ჯგუფის ინდექსმა 2025 წელს S&P 500-ს აჯობა (25% 16%-ის წინააღმდეგ), მაგრამ ეს გამარჯვება მოჩვენებითი იყო: შედეგი თითქმის მთლიანად Alphabet-ისა და Nvidia-ს დამსახურებაა, მაშინ როდესაც „შვიდეულის“ უმეტესობა ბაზარს ჩამორჩა. 2026 წლის დასაწყისში ტექნოლოგიური გადაღლის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა და ამჟამად ჯგუფი ფართო ბაზრის მაჩვენებლებს ჩამორჩება. ინვესტორებს აქცენტი ხელოვნური ინტელექტის შესახებ გაცემული დაპირებებიდან რეალურ მომგებიანობაზე გადააქვთ.



# მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა




| უკუგება (USD,%)         |         |       |                   |        |
|-------------------------|---------|-------|-------------------|--------|
| MSCI აქციების ინდექსები | 1-კვირა | 1-თვე | წლის დასაწყისიდან | 1-წელი |
| აშშ                     | 1.55    | 1.99  | 1.77              | 19.35  |
| ევროპა                  | 2.25    | 5.30  | 2.92              | 18.66  |
| აზია (გარდა იაპონიისა)  | 1.18    | 4.08  | 2.98              | 32.92  |
| იაპონია                 | 3.11    | 2.34  | 3.11              | 28.82  |
| განვითარებადი ბაზრები   | 1.62    | 4.49  | 3.42              | 37.39  |
| მსოფლიო                 | 1.49    | 2.34  | 1.82              | 22.64  |

## კვირის მთავარი მოვლენები


- აშშ-ის საფონდო ბირჟებზე გასულ კვირას აღმავალი ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც თავდაცვის სექტორისა და ნახევარგამტარების საწარმოო დანადგარების მწარმოებელი კომპანიების აქციების ზრდამ განაპირობა. თავდაცვის სფეროში მატება ღონაღდ ტრამპის განცხადებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც, ის აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის 50%-ით გაზრდას გეგმავს, რომელმაც 2027 წლისთვის შესაძლოა 1.5 ტრილიონ დოლარს მიაღწიოს. რაც შეეხება ნახევარგამტარების მწარმოებლებს, მათი აქციების ფასი ხელოვნური ინტელექტის მიმართ ინვესტიციების პოზიტიურმა განწყობამ გაზარდა. მიუხედავად ამისა, ორშაბათის წინასაავაჭრო სესიაზე ტენდენციების შემოტრიალების გარკვეული ნიშნები უკვე შეინიშნება.
- ხელოვნური ინტელექტისა და ნახევარგამტარების ბუმი როგორც ევროპულ ისე აზიურ ბაზრებსაც გადაედო— Euro STOXX 50 ინდექსის ზრდას ჰოლანდიური გიგანტი, ლითოგრაფიული დანადგარების მწარმოებელი ASML ლიდერობდა, კორეაში კი ზრდა Samsung-მა და SK Hynix-მა განიცადეს. გარდა ამისა, გასულ კვირას ევროპაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა საბანკო და ენერგეტიკულ სექტორებშიც, რის შედეგადაც ევროპულმა ბაზრებმა შედეგებით ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრებს აჯობა.

# აქტივების ბაზრის მიმოხილვა

## აქტივების კლასების კვირის უკუგება



## აქტივების კლასების უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე



წყარო: Bloomberg

## გასული კვირის მნიშვნელოვანი ცვლილებები

- ოქრომ** მიმდინარე კვირას აღმავალი ტენდენცია შეინარჩუნა, რასაც გრძელვადიან სტრუქტურულ ფაქტორებთან ერთად სპეციფიკურმა გარემოებებმაც შეუწყვეს ხელი. აშშ დოლარის დასუსტებამ, რაც ნაწილობრივ ფედერალური რეზერვის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულმა შიშებმა განაპირობა, ოქრო კიდევ უფრო მიმზიდველ აქტივად აქცია. ინვესტორები მას განიხილავენ როგორც ინფლაციისგან დამზღვევის საიმედო საშუალებას მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვან სარეზერვო ვალუტას პრობლემები ექმნება.
- ბიტკოინი** ამ კვირაში მნიშვნელოვან მერყეობას განიცდის; კრიპტოვალუტა \$92,000-იან ნიშნულს მიუახლოვდა, თუმცა კვლავ დაეცა მას შემდეგ, რაც ჯერომ პაუელის საკვირაო პრესკონფერენციამ ორშაბათის წინასაავაჭრო სესიაზე რისკებისგან თავის არიდების განწყობა გააჩინა. მიუხედავად იმისა, რომ დოლარის დასუსტება ჩვეულებრივ ალტერნატიულ აქტივებზე მოთხოვნას ზრდის, ბიტკოინის მიმართ ბაზრის შეფასებები არაერთგვაროვანია და რყევების ფონზე, ის კვლავ დაღმავალ ტენდენციას ინარჩუნებს.


# გეოპოლიტიკა

## ჯერომ პაუელი ფედერალური რეზერვის დამოუკიდებლობის საფრთხეზე საუბრობს.

კვირას გამართულ კონფერენციაზე, ფედერალური რეზერვის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იუსტიციის დეპარტამენტისგან უწყება მიიღო. სისხლის სამართლის გამოძიება სენატში პაუელის მიერ მიცემულ ჩვენებას ეხება, რომელიც ფედერალური რეზერვის შენობების რემონტს უკავშირდებოდა. ჯერომ პაუელმა იუსტიციის დეპარტამენტის ქმედებებს „უპრეცედენტო“ უწოდა და გააფრთხილა საზოგადოება, რომ ამერიკის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა შესაძლოა საფრთხის ქვეშ იყოს. „საკითხავი ისაა, შეძლებს თუ არა ფედერალური რეზერვი საპროცენტო განაკვეთების მტკიცებულებებსა და ეკონომიკურ პირობებზე დაყრდნობით დადგენას, თუ მონეტარულ პოლიტიკას პოლიტიკური ზეწოლა და დაშინება წარმართავს,“ — განაცხადა პაუელმა. ორშაბათს აშშ-ს ბაზრებზე ინვესტორთა უარყოფითი რეაქციის ნიშნები ჩანს.



## მაკროეკონომიკა



## აშშ-ში უმუშევრობა შემცირდა, სამუშაო ადგილების ზრდამ კი მოლოდინს გადააჭარბა.

დეკემბერში აშშ-ში დასაქმების ზრდის მაჩვენებელი პროგნოზირებულზე მაღალი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ 2025 წელი ამ კუთხით 2003 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი იყო. არასასოფლო-სამეურნეო სექტორში (Non-farm payrolls) დასაქმებულთა რაოდენობა დეკემბერში 50,000-ით გაიზარდა, ხოლო უმუშევრობის დონე 4.4%-მდე შემცირდა, რაც 4.6%-იან კონსენსუს-პროგნოზზე უკეთესი შედეგია. ობლიგაციებით მოვაჭრეებმა პოზიტიურ მონაცემებზე მყისიერი რეაგირება მოახდინეს, მასობრივი გაყიდვების ფონზე კი აშშ-ის სახაზინო ვალდებულებების შემოსავლიანობა გაიზარდა.

# კვირის მიგნება


## „შესანიშნავი შვიდეული“ – ზრდა შენელებული ტემპით

წლების განმავლობაში „შესანიშნავ შვიდეულში“ ინვესტირება ბაზარზე მაღალი უკუგების მიღების საიმედო გზას წარმოადგენდა, თუმცა 2025 წელს ვითარება შეიცვალა. მას შემდეგ, რაც 2022 წელს ფედერალურმა რეზერვმა განაკვეთების ზრდის ციკლი დაიწყო, პირველად მოხდა, რომ ამ ტექნოლოგიური გიგანტების უმრავლესობა ბაზრის ზოგად მაჩვენებელს ჩამორჩა. მართალია, Bloomberg-ის „დიდებული შვიდეულის“ ინდექსმა 2025 წელი შთამბეჭდავი 25%-იანი ზრდით დაასრულა და S&P 500-ის 16%-იან მატებას გაუსწრო, მაგრამ ეს გამარჯვება მოჩვენებითი იყო.

ინდექსის სიძლიერე თითქმის მთლიანად Alphabet Inc.-ისა და Nvidia Corp.-ის აქციების ფასის მკვეთრმა ნახტომმა განაპირობა. ამ ორი კომპანიის გარეშე, ჯგუფის საერთო სურათი გაცილებით სავალალო იქნებოდა. 2026 წლის დადგომასთან ერთად, მონაცემები მიანიშნებს, რომ ტექნოლოგიური გადართვის ტენდენცია ღრმავდება. წლის დასაწყისისთვის (9 იანვრის მონაცემებით), „დიდებული შვიდეულის“ ინდექსი მხოლოდ 0.5%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება S&P 500-ის 1.8%-იან აღმასვლას.



ინვესტორების ყურადღება ხელოვნური ინტელექტის შესახებ გაცემული დაპირებებიდან რეალურ მომგებიანობაზე გადადის. მიუხედავად იმისა, რომ „შვიდეულის“ შეფასების მაჩვენებლები კვლავ მაღალია, წელს ჯგუფის მოგების ზრდა მხოლოდ 18%-ით არის ნავარაუდები – რაც 2022 წლის შემდეგ ყველაზე ნელი ტემპია. ეს კი ამცირებს სხვაობას S&P 500-ში შემავალი დანარჩენი 493 კომპანიის მოსალოდნელ 13%-იან ზრდასთან.

## „შესანიშნავი შვიდეულის“ აქციების საშუალო მოსალოდნელი ფასის ცვლილება ერთი წლის განმავლობაში





# ბაზრის მამოძრავებლები

**Lockheed Martin-ის** და სხვა თავდაცვის კომპანიების აქციების ფასი გაიზარდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ტრამპმა 2027 წლისთვის აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის 50%-ით გაზრდის ინიციატივა წამოაყენა, რომელიც პოტენციურად 1.5 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. ვინაიდან Lockheed Martin აშშ-სთვის ერთ-ერთი საკვანძო მიმწოდებელია, კომპანია დანახარჯების ზრდით მოგებული დარჩება.



**Applied Materials-ის** აქციების ფასი გასულ კვირას 17%-ზე მეტით გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ისეთ კომპანიებშიც, როგორიცაა Intel და LAM Research, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ AMAT-ის აქციების ზრდა უფრო მეტად ნახევარგამტარების ინდუსტრიაში არსებულ ზოგად ტენდენციებს უკავშირდება, ვიდრე უშუალოდ კომპანიის სიახლეებს.

**NRG Energy-ის** აქციები გასულ კვირას თითქმის 9%-ით გაუფასურდა, რაც კომპანიის გადანაცვლებას მოჰყვა, მოქმედი გენერალური დირექტორი ჩაენაცვლებინა. ინვესტორების განწყობაზე უარყოფითად იმოქმედა დარგში არსებულმა ზოგადმა ფაქტორებმა: ზრდის აგრესიული მოლოდინები გარკვეულწილად არ გამართლდა, ხოლო ენერგიაზე მოთხოვნა მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა.



**First Solar-ის** აქციების ფასი გასულ კვირას 8.64%-ით შემცირდა. ინვესტორებმა პოზიციები შეცვალეს მას შემდეგ, რაც საინვესტიციო ბანკმა Jefferies-მა კომპანიის სამიზნე ფასი შეამცირა. ანალიტიკოსებმა მიზეზად მოგების მარჟის პოტენციური შეკვეცა, არასტაბილური მოთხოვნა და იაფი წიაღისეული საწვავის მხრიდან კონკურენცია დაასახელეს.

# კვირის განრიგი

## ორშაბათი

| რეგიონი | ინდიკატორი |
|---------|------------|
|---------|------------|

| სიმბოლო | ტიპი |
|---------|------|
|---------|------|

|      |          |
|------|----------|
| SIFY | შედეგები |
| BNED | შედეგები |
| VWAV | შედეგები |

## სამშაბათი

| რეგიონი | ინდიკატორი |
|---------|------------|
|---------|------------|

|     |                                                                                        |
|-----|----------------------------------------------------------------------------------------|
| აშშ | <ul style="list-style-type: none"><li>ინფლაცია წლის დასაწყისიდან (წინასწარი)</li></ul> |
|-----|----------------------------------------------------------------------------------------|

| სიმბოლო | ტიპი |
|---------|------|
|---------|------|

|      |          |
|------|----------|
| JPM  | შედეგები |
| BK   | შედეგები |
| DAL  | შედეგები |
| CNXC | შედეგები |

## ოთხშაბათი

| რეგიონი | ინდიკატორი |
|---------|------------|
|---------|------------|

|        |                                                                   |
|--------|-------------------------------------------------------------------|
| ჩინეთი | <ul style="list-style-type: none"><li>სავაჭრო ბალანსი</li></ul>   |
| აშშ    | <ul style="list-style-type: none"><li>საწარმოო ინფლაცია</li></ul> |

| სიმბოლო | ტიპი |
|---------|------|
|---------|------|

|     |          |
|-----|----------|
| BAC | შედეგები |
| WFC | შედეგები |
| C   | შედეგები |
| UCB | შედეგები |

## ხუთშაბათი

| რეგიონი | ინდიკატორი |
|---------|------------|
|---------|------------|

|           |                                                                       |
|-----------|-----------------------------------------------------------------------|
| ბრიტანეთი | <ul style="list-style-type: none"><li>მშპ-ს ზრდა დეკემბერში</li></ul> |
| გერმანია  | <ul style="list-style-type: none"><li>მშპ-ს ზრდა (წლიური)</li></ul>   |

| სიმბოლო | ტიპი |
|---------|------|
|---------|------|

|     |          |
|-----|----------|
| TSM | შედეგები |
| MS  | შედეგები |
| GS  | შედეგები |
| BLK | შედეგები |

## პარასკევი

| რეგიონი | ინდიკატორი |
|---------|------------|
|---------|------------|

| სიმბოლო | ტიპი |
|---------|------|
|---------|------|

|     |          |
|-----|----------|
| PNC | შედეგები |
| STT | შედეგები |
| MTB | შედეგები |
| WIT | შედეგები |

# სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამუშავებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელსაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



**TBC CAPITAL**

[www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)